შემთხვევის ანალიზი

გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს:

ამბოსელის ეროვნული პარკი (ყოფილი მაასაი ამბოსელის ნადირთა ნაკრძალი) კენიაში, კაჯიადოს ოლქში მდებარეობს და დედაქალაქ ნაირობიდან სამხრეთით 140 კმ-ით არის დაშორებული. პარკს 392 კმ^2 უჭირავს იმ ეკოსისტემის ცენტრში, რომელიც 8000 კმ^2-ზეა გადაჭიმული და კენია-ტანზანიის საზღვარს მოიცავს.

ამბოსელის ეროვნული პარკის გეოგრაფიული მდებარეობა



ჭაობების ქსელი ამ მცირენალექიან არემარეში მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გარემოს ქმნის გარეულ ცხოველებსა და ფრინველებზე დასაკვირვებლად. პარკი ხუთი მთავარი ჭაობიდან ორს იცავს და დამშრალ პლეისტოცენის პერიოდის ტბას და ნახევრად არიდულ მცენარეულობას მოიცავს.

ამბოსელის ტბა წყლის წყვეტილი ობიექტია, რომელიც მხოლოდ წვიმების დროს ივსება წყლით და, ძირითადად, კილიმანჯაროს მიწისქვეშა წყაროებით იკვებება. გვალვის ხანგრძლივი პერიოდის გამო პარკის მცენარეული სააფრი საკმაოდ მწირია, თუმცა საუკეთესო შესაძლებლობას გვთავაზობს აფრიკულ ცხოველებზე დაკვირვებისთვის. წყაროებზე, რომლებიც ცხოველების ერთადერთი სარწყავი ადგილია, შეგიძლიათ ნახოთ მარტორქები, კამეჩები და სპილოები. გარდა ამისა, მათი დაკვირვება შესაძლებელია აკაციებით გარშემორტყმულ ჭაობებში.

ამბოსელის ეროვნული პარკის ბინადრები

1883 წელს, ინგლისელი გეოგრაფინდა გეოლოგი ჯერემი ტომპსონი პირველი ევროპელი იყო, რომელმაც მაასაის „ემპუსელის“ (მარილიანი, მტვრიანი ადგილი მაასაის ენაზე) სახიფათო რეგიონში შეღწევა გაბედა. ის გაოცებული დარჩა გარეულ

ცხოველთა ფანტასტიკური ნაირფეროვნებითა და არიდულ ადგილებსა და ჭაობების ოაზისებს შორის წარმოქმნილი კონტრასტით, რაც აქ დღემდეა შენარჩუნებული.

ამბოსელის ეროვნული პარკი 1906 წელს მოეწყო, როგორც მასაის ტომის "სამხრეთის ნაკრძალი", მაგრამ 1948 წელს იგი, როგორც სანადირო ნაკრძალი ადგილობრივ მმართველობას გადაეცა. 197 ამბოსელი 4 წლიდან ეროვნულ პარკად გამოცხადდა, ხოლო 1991 წელს „იუნესკოს ბიოსფეროს ნაკრძალის“ სტატუსი მიენიჭა. დღეს ამბოსელის ჰაბიტატების სილამაზე დაცულია და ეკოტურიზმსაც დიდი სიფრთხილით ეპყრობიან, რათა პარკმა პირვანდელი სახე შეინარჩუნოს და არც იქ მცხოვრები აბორიგენების უფლებები დაირღვეს.

ცნობილი ამერიკელი მწერლების ერნესტ ჰემინგუეისა და რობერტ რუარკის ნამუშევრებში სწორედ ამბოსელის პარკია აღწერილი, როგორც აფრიკის სავანაში საფარის ადგილი.

ადგილობრივი მცხოვრებლები, ძირითადად, მაასაის ხალხია, თუმცა წარმატებული ტურიზმის შედეგად აქ ქვეყნის სხვა კუთხეებიდანაც გადმოსახლდა მოსახლეობა.

მაასაის ხალხი

პარკის შემოსავალი 2005 წელს $3,5 მილიონი იყო. 2005 წლის 29 სექტემბერს კენიის პრეზიდენტმა მვაი კიბაკიმ გამოაცხადა, რომ პარკის კონტროლი კენიის ფლორა-

ფაუნის სამსახურიდან ადგილობრივი მაასაის ტომს უნდა გადასცემოდა. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით ეს პოლიტიკური ნაბიჯი ადგილობრივი ხმების მოგების მიზნით გაკეთდა ახალი კონსტიტუციის მისაღებად და ეს გადაწყვეტილება დღემდე სასამართლოს განხილვის საგანია.

დღეს, ამბოსელის ეროვნული პარკი მეორე ყველაზე პოპულარული პარკია კენიაში მასაი-მარას შემდეგ. ამ ადგილის მონახულება ადვილია შაბათ-კვირის განმავლობაში. აფრიკაში პარკი განთქმულია, როგორც თავისუფლად მომთაბარე სპილოებთან მიახლოების შესაძლებლობით საუკეთესო ადგილი. მისი კიდევ ერთი თვალშისაცემი მომხიბვლელობა მთა კილიმანჯაროს სიახლოვეა, რომელიც მსოფლიოში უდიდესი ცალკე მდგომი მთაა. ამბოსელის პარკს საკუთარი მცირე ზომის აეროპორტიც გააჩნია.

კითხვები:

ა) რომელი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობს პარკის ტერიტორიაზე?

ბ) აფრიკისა ან/და მსოფლიოს კლიმატური რუკების გამოყენებით დაადგინე როგორი კლიმატური პირობებია პარკისთვის დამახასიათებელია?

გ) რატომ უნდა შეიქმნას სპეციალურად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები?

დ) რამ განაპირობა ამბოსელის ეროვნული პარკის პოპულარობა?

ე) რა როლს შეასრულებს ამბოსელის დაცული ტერიტორია ქვეყნის განვითარების პროცესში და ეკონომიკის რომელი დარგების განვითარებას უწყობს ხელს?

ვ) რა როლს ასრულებს ამბოსელის ეროვნული პარკი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებასა და საქმიანობაში?

ზ) როგორ ფიქორბ, რა პრობლემები შეიძლება არსებობდეს ამბოსელის ეროვნულ პარკში?

თუ გინდა მეტი შეიტყო ამბოსელის პარკის ან აფრიკის დაცული ტერიტორიების შესახებ შესახებ ეწვიე ვებგვერდებს: http://www.kws.go.ke/ https://www.amboselipark.org/ და http://www.kws.go.ke/